

**ხელშეკრულება № 400**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**  
**(კონსოლიდირებული ტენდერი №-CON160000059)**

ქ. თბილისი

„22“ დეკემბერი“ 2016 წ.

ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სოფიო ლაზიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს რომპეტროლ საქართველო შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კაირატ კაბილოვის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის #11 ბრძანების, „2016 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის №2584 განკარგულებისა და 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის - დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) გატანა ავტოგასამართი სადგურიდან, საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე იმ დოკუმენტებით და დანართებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ - საერთო თანხა, (შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა გამრავლებული 1 ლიტრი საწვავის სავარაუდო ფასზე) რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საწვავი“ - დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) Efix Euro Diesel
- 1.7 სატენდერო დოკუმენტაცია - 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის - დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) გატანა ავტოგასამართი სადგურიდან - სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი**

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ საწვავის შესყიდვა ეტაპობრივად წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი, რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 2447.55 ლიტრს.
- 2.3 შესასყიდი საწვავის საორიენტაციო რაოდენობა, სახეობა, ერთეულის ფასი და სხვა მონაცემები მოცემულია დანართ №1-ში, ავტორიზებული ავტომანქანების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები მოცემულია დანართ #2-ში, ხოლო აგს-ების ჩამონათვალი მოცემულია დანართ #3-ში. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, მიუხედავად მისი დამოწმება/ ხელმოწერისა.
- 2.4 საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს აგაი სისტემის/ზარათების მეშვეობით, მხოლოდ იმ ავტორიზებული ავტომანქანებისთვის რომლებიც მითითებულია ხელშეკრულების N2 დანართში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების N3 დანართით განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.